ფასი 25 ცენტი

ქართული აზრი

GEORGIAN OPINION

№ 41 ნიუ-იორკი. დეკემბერი 1960 წ. NEW YORK, DECEMBER 1960

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.

აბრაჰამ ლინკოლნი. 1865 წ.

ნიუ-იორკი. დეკემბერი, 1960 წ.

კოლონიალიზმის საკითხი.

(ამერიკული პრესის მიხედვით)

შეერთებულ შტატებში ყველაზე უფრო გავრცელებული და ყველაზე უფრო სერიოზულად მიჩნეული „ნიუ-იორკ ტაიმსი“ მრავალჯერ შეეხო კოლონიალიზმის საკითხს. მან არა ერთხელ განაცხადა, რომ დროა კაცობრიობა განიტვირთოს გასული საუკუნეების იდეოლოგიური ნაშტებისაგან და ახალი საუკუნის მიჯნაზე გაბედულად გადმოაბიჯოს. ამავე დროს „ნიუ-იორკ ტაიმსი“ მოუწოდებდა მსოფლიო პოლიტიკის მესვეურებს, რომ ანტიკოლონიალიზმი არ უნდა გადაქცეულიყო ანტი დასავლეთურ მოვლენათ. ან კოლონიალიზმის გაუქმება არ უნდა ყოფილიყო შემოფარგლული მარტო დასავლეთის სფეროთი და მოითხოვდა ეს უნივერსალურ მოვლენად გადაქცეულიყო.

გაერთიანებულ ერებში ამ საკითხის გარჩევის გამო, ხსენებულმა გაზეთმა მას კვლავ მიუძღვნა თავის მეთაური, სადაც ნათქვამია:

„ორმოცდა ხუთმა აფრო-აზიურმა ქვეყნებმა. რომლებიც ამ ჟამად გაერთიანებულ ერებში უდიდეს ჯგუფს წარმოადგენს, წარადგინეს საკუთარი მანიფესტი, რომლითაც ისენი მოითხოვენ რათა გაერთიანებული ერების ორ განიზაციამ თავის ყრილობაზე დააყენოს კოლონიალიზმის სრული მოსპობის საკითხი.

ჩვენის აზრით აფრო-აზიური ჯგუფის გამოსვლა ხრუშჩოვის დემაგოგიური წინადადების პასუხია, რომლითაც უნდოდა ამ დიდი ჯგუფის გულის მოგება და მისი მიმხრობა. ხრუშჩოვი, რომელიც ჩვენი ეპოქის ყველაზე დიდ და ყველაზე მკაცრი კოლონიალური იმპერიის წარმომადგენელია, თითქოს ხელს უწყობდის და ეხმარება კოლონიალურ ქვეყნებს. ის ამავე დროს თითქოს იწონებს გაერთიანებული ერების ქარტიის იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია „ჰუმანიტარულ იდეებზე, თანასწორ უფლებიანობაზე და ხალხთა და ერთა თვით გამორკვევაზე“. ამავე დროს ხრუშჩოვმა მოითხოვა ყველა კოლონიების დაუყონებელი განთავისუფლება და ყოფილ კოლონიების ტერიტორიებზე დამოუკიდებელი სახელმწიფოების და ეროვნული თვითმმართველობების შექმნა. ხრუშჩოვი თავის რეზოლუციაში ამავე უფლებებს მოითხოვს ისეთი ხალხისათვის, რომლებიც ეროვნული ჩამორჩენილობის გამო, დროებით, გაერთიანებული ერების მფარველობის ქვეშ იმყოფებიან. აქვეა მოთხოვნილი ამერიკული სამხედრო ბაზების დაუყონებელი გაუქმება „რადგან მათი ობიექტი სამჭოთა კავშირია“-ო უბრალო ენით რომ ვთქვად. ხრუშჩოვი მოითხოვს თავისუფალი მსოფლიოს განიარაღებას.

აფრო-აზიური ჯგუფი კი თურმე არა ყოფილა მომზადებული ასე მორს წასასვლელად განსაკუთრებით ბაზების საკითხში, რადგან ზოგიერთი მათგანის დამოუკიდებელი არსებობა სწორედ ამ ბაზებზეა დამყარებული. ამ ჯგუფის მანიფესტის სული უფრო ბანდუნგის კონფერენციის დადგენილების ფარგლებში ტრიალებს. სწორედ ბანდუნგის კონფერენციამ ამხილა დამპყრობელი ერები და იქ იქმნა მიღებული კოლონიალიზმის სრული მოსპობა.

საინტერესოა ეს ჯგუფი თავის მანიფესტს შეეჩერებს ჯერ კიდევ კოლონიალურ მდგომარეობაში მყოფ აფრო-აზიურ და საერთოდ და სავლეთზე დამოკიდებულ ქვეყნებზე, თუ ის გახდება უნივერსალური პრინციპის მატარებელი და გამოამეღავნებს ყველა დამპყრობ და დაპყრობილ ერებს; სახელდობრ საბჭოთა რუსეთის და კომუნისტური ჩინეთის კოლონიალურ იმპერიებს. ცნობილია, რომ კომუნისტურმა იმპერიებმა დაიპყრეს ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, აღმოსავლეთ გერმანია, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, ბულგარია, ბელორუსია, სასომხეთი, საქართველო, აზერბეიჯანი და სხ. ხოლო აღმოსავლეთში ჩრდილო კორეა, ჩრდილო ვიეტნამი და ჩრდილო ლაოსი.

პრეზიდენტ აიზენჰაუერმა უკვე გამოიწვია ხრუშჩოვი, რათა ის უნივერსალური მასშტაბით დათანმხდეს ხალხთა და ერთა თვითგამოჩენის რკვევას. აფრო-აზიური ჯგუფი დაგვანახვებს თავის კეთილ სურვილებს, თუ ამ ჰეშმარიტ პრინციპს მხარს დაუჭერს“-ო.

ეს არის ჩვენი ეპოქის პირველი და გადაუდებელი საქმე. შეუძლებელია კულტურულმა კაცობრიობამ გულმშვიდად უყუროს თუ ქვეყნიერების ერთ კუთხეში როგორ ხარობს და ლაღობს ადამიანი და როგორა ტკბება თავისუფლო ცხოვრებით ერთი ნაწილი, როდესაც მეორე კუთხეში გაბატონებულია ჯოჯოხეთური მონობა და კისერზე ადგათ ფეხქუსელი და პიროვნული დამონების ძმიმე უღელი. როგორც არა ერთხელ აღინიშნა ჩვენს ცხოვრებაში, დასავლეთმა ნებაყოფლობით აუშენა მონობის არტახები თავის კოლონიებს და მასზეა ვისუფალი ცხოვრება მთანიჭა. დღეს ჩვენს წინაშე დგა მონობის ახალი ფორმა, რომელიც რუსეთმა კომუნიზმის სახით შექმნა და დაფუძნა.

რუსეთის დღევანდელი ლიდერები დიდი ხანია დაშორდნენ 1917 წლის რევოლუციურ ინტერნაციონალურ გაგებას და რუსეთი თავის ისტორიულ-იმპერიალისტურ ჩარჩოებში ჩაიკეტა. დღეს კრემლის „ერთა თავისუფლების“ პრინციპს ისეთივე სპარპაგანდო მნიშვნელობა აქვს, როგორც ანტიკოლონიალურ და ანტი იმპერიალისტურ ქადაგებას.

რუს კომუნისტებისათვის ყოველი ერი დაპყრობილია, რომელიც ,თუ მთლად რუსეთის ჩარჩოებში არა, რუსეთის გავლენის სფეროში მაინც არ მოხედა. ხოლო თუ რომელიმე ერი დაიპყრეს, დაიმონეს, ან თავის გავლენის სფეროში მოაქციეს, მაშინ ის უკვე თავისუფალია და ყოველგვარი ცდა, რომ რუსეთის გავლენისაგან თავი გაინთავისუფლოს და თავის ეროვნულ მისწრაფებებს არ დაშორდეს—ითვლება უდიდეს ცოდვათ, მსოფლიო რევოლუციის, მსოფლიო პროლეტარიატის ინტერესების ღალატად და მაშინ რუსეთის რისხვა და შეხეკ ამგვარად ამბოხებულ ერს დაატყდება.

ასეთია თვისუფლების რუსული გაგება და ამას ებრძვის თავისუფალი დემოკრატია.

ზემო მოყვენილი —ნიუ-იორკ ტაიმსი“-ს მოწოდებაც, რათა აფრო-აზიურმა ქვეყნებმა თავის რეზოლუციაში კოლონიების განთავისუფლების საკითხი უნივერსალურ მოძრაობად აქციოს და არ შემოფარგლოს თავისი თავით, სწორედ ეს უნდა ვიგულისხმოდ, ვინაიდან პრეზიდენტ აიზენჰაუერის მოწოდება გარკვეულად ამ აზრს ატარებდა.

ან კი ვის შეეძლო ეფიქრა, რომ თავისუფლების პრინციპში ჩასახული შეერთებული შტატები სხვანაირ პოზიციას დაიჭერდა. შეერთებული შტატები ძმათა სისხლის დაღვრასაც არ მოერიდა, რათა მთელ მის ტერიტორიაზე თავისუფლების პრინციპი გაებატონებინა და ადამიანის დამამდაბლებელი და შემარცხვენელი მონობა მოესპო. ცხადია, შეერთებული შტატები მას ვერც დიდი მასშტაბით აიტანს და უბრალო მაყურებლად ვერ დარჩება, როდესაც ხედავს, რომ ქვეყნიერების ერთ კუთხეში გაბატონებულია მონობა და მონათმფლობელი რუსეთი თავისუფლად დარჩენილ კაცობრიობასაც დამონებით ემუქრება.

დონი.

დასავლეთის თავისუფალი, დემოკრატიული ქვეყნები განსაკუთრებულ სიმტკიცეს და ნებისყოფას იჩენენ. რათა თავიანი თავი დაიჯერონ, რომ ეხი დღეს კომუნისტური ტირანები და დემოკრატიული ქვეყნების ლიდერები ერთი მეორეს ხელს ჩამოართმევენ და ამით მოისპობა მათ შორის პრინციპიალური წინააღმდეგობა, დამყარდება ამ ქვეყნად უშიშარი საამური ცხოვრება და გაბატონდება სათნოება და კაცთ-მოყვარეობა.

ამ მიზნის მისაღწევად მათ მოსკოვის ახალი ტირანი აირჩიეს. დასავლეთელების აზრით საკმარისი იყო ხრუშჩოვის თავზე ხელის გადასმა. მისი დაყვავება და მოფერება, რათა აღკვეთილიყო პრინციპთა დაპირისპირება და აქედან გამომდინარე მსოფლიო აღრეულობა.

ამ მხრივ წაქეზებულმა ხრუშჩოვმა შეიმეცნო რა თავისი ფასი დაღირებულობა, თანდა თანობით უფრო აგრესიული და უფრო მოურიგებელი გახდა. ხშირად ეს აგრესიულობა გამოავლინა არა მარტო უბრალო მუქარით, ან რომელიმე სახელმწიფოს მეთაურის შეურაცყოფით, არამედ მთელი დასავლეთის კოალიციის და ხალხის შეურაცყოფასაც არ მოერიდა.

გასულ სექტემბერ-ოკტომბერში ხრუშჩოვის ნიუ-იორკში ჩამოსვლა ამის საუკეთესო გამომეღავნება იყო. მართალია მისმა „თანაარსებობის კრიტიკამ“ ერთგვარი გამოძახილი ჰპოვა ამერიკის ულტრა პაციფისტურ წრეებში და შერთებული შტატების ხელისუფლების გარდაწყვეტილება (ხრუშჩოვის თავისუფლად ნავარდის მანჭატანით შემოფარგვლა) დაიწუნა, მაგრამ ისიც მართალია, რომ, როგორც მორალურ-ხელობრივი, ისე იურიდიული უფლება ვაშნგტონს ჰქონდა.

მსოფლიოში საყოფოებით დაფუძნებულ და გაბატონებულ ტრადიციის მიხედვით, სახელმწიფოს მეთაურები უცდიან, ვიღრე მეორე სახელმწიფო მას მიიპატიჟებს. თავისი ნებით „სტუმრობა“ კი ხრუშჩოვის მოგონილი ამბავია.ხოლო, როგორც გაერთიანებული ერების დელეგატს, ხრუშჩოვს შეეძლო დაუპატიჟებლად სწვეოდა ნიუ-იორკს, ამ შემთხვევაში მისი მოქმედების ასპარეზი მხოლოდ გაერთიანებული ერების ტრიბუნა უნდა ყოფილიყო და შეერთებული შტატების ხელისუფლებამაც, სრულიად სამართლიანად, მის მიდა მოებში მისცა ცხოვრების უფლება. მიუხედავათ შეზღუდულობისა, ხრუშჩოვი მაინც შეერთებული შტატების ტერიტორიაზე იყო. მა რთალია მოუპატიჟებელი, მაგრამ მაინც სტუმარი. ეს ერთგვარად მას ავალდებულებდა პატივი ეცა მასპინძლისათვის და თავის კრიტიკაში ზომიერება დაეცვა. მან არ დაიცვა არამც თუ სტუმრის ზნეობრივი ვალდებულებები მასპინძლის მიმართ, არამედ ოჯახში შევარდნილ შეიარაღებულ ბანდიის საქციელსაც კი გადაჰკრა. თავდასხმა. ქირდვა, შეუფაცყოფა და მუქარა არ მოაკლო შეერთებული შტატების პრეზიდენტს. რომელიც გარდა თავისი ზნეობრივი ღირებულებისა. იმ ერის მეთაურია. უორმლისთაც არამც თუ ხრუშჩოვი, არამედ, საერთოდ კომუნიზმის სახელი მწარე მოგონებად ღა იქნებოდა დარჩენილი.

მეორე მხრივ ხრუშჩოვი თავს დაესხა გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს და მოითხოვა მისი დაუყონებელი გადაყენება. სა მაგიერად მან წამოაყენა საერთაშორისო ორ განიზაციის ის გვარი მეთაურობა, რომელიც გაერთიანებულ ერებში გაბატონებდა უმოქმედობის და დამბლადაცემულობის ატმოსფეროს. ეს გარემოება კი კაცობრიობაში შექმნდა ახალი ომის მოახლოვების საშიშროებას და ამგვარად ქვეყნიერებას უნდა ეცხოვრა ბოლშევიზმის ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშ.

ეს ბოლშევიკური დიპლომატიის და საზოგადოთ რუსულ იმპერიალისტურ მიზნებში შედის.

კაცობრიობა უახლოვდება ბერლინის ახალ კრიზის. ესა სჩანს არა მარტო კრემლის მოქმედებიდან, არამედ ამას მოწმობს კრემლის შინა ყმაოლტერ ულბრიხტის განცხადებებიც. ცხადია, ამ მომენტისათვის მტკიცე და სწრაფ მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაცია ხელს შეუშლის კრემლის ბოროტი ზრახვების განხორციელებას. მას სჭირდება დამბლა დაცემული. მოქმედების უნარ ნაკლული გაერთიანებული ერები, თუ ბერლინის საკითხი ფსიქოლოგიურ ტერორის ქვეშ დაყენებულ ორგანიზაციაში დაისვა—შედეგი ნათელია. სულ სხვა იქნება თუ გაერთიანებული ერების ძლიერ და მომქმედ ორგანიზაციაში დაისვა საკითხი. ამ შემთხვევაში საქმე წყდება არა მუქარით, არამედ უფლებრიობით და არგუმენტებით. ეს კი სწორედ კრემლის საწინააღმდეგოთ ლაპარაკობს. უფლებრივად ბერლინის მმართველობა „ოთხ დიდს“ თანაბრად ეკუთვნის. მან საკითხის გონიერი მსჯელობის დროს შეიძლება საერთაშორისო ორგანიზაცია იქამდე მივიდეს, რომ ოთხივეს წაართვას ბერლინი და იქ გაერთიანებული ერების კონტროლი დაამყაროს. ეს კი კრემლის დიპლომატიის უდიდესი მარცხია, კიდევ მეტი, ეს იქნებოდა კრემლის ცუღლუტობის სამუდამო აღკვეთა და ამ მიმართულებით მისი აგრესიის მოსპობა.

ეს და სხვა მრავალი მსგავსი მოსაზრებები აიძულებენ კრემლს და მის დღევანდელ მფლობელს, რომ პირველი იერიში იქ პროვენციაზე მიიტანოს, რომელიც ამ ჟამად გაერთიანებული ერების ძლიერების და სწრაფი მოქმედების გამოსახულებაა.

ხრუშჩოვის თავდასხმის მეორე და ძლიერი პუნქტი კოლონიალური ქვეყნები იყო. მან მთელი თავისი უნარი და მოქნილობა გამოიყენა. რათა ყოფილი კოლონიები დასავლეთისათვის დაეპირდაპირებინა და თავის ბრძა ია-რაღად გადაექცია. მას მხედველობიდან გამორჩა, რომ გაერთიანებული ერების იმავე ყრილობაზე დამტკიცეს საერთაშორისო ორგანიზაციის წევრებად ხუთმეტი დამოუკიდებელი სახელმწიფო, ყოფილი კოლონიალური ქვეყნები, და თითქმის ყოველი მათგანის სპონსორი ყოფილი მპყრობელი ქვეყანა იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთის კოლონიალური ქვეყნები ნებაყოფლობით ჰქმნიან თავიანთ კოლონიებში დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოებს და მათ ეროვნულ სახელმწიფოებრივ განმტკიცება, განვითარებასაც გულწრფელად ეხმარებიან.

საბჭოთა რუსეთი კი არა ჩვეულებრივ სიცრცეზე გაიშალა. მის მიერ დაპყრობილი ერების მიერ გამოვლინებული თავისუფლებისადმი ტრფიალი სისხლში ჩაახრჩო. ამის საუკეთესო მაგალითი 1956 წელში საქართველოუნგრეთში მომხდარი აჯანყებებია. მოსკოვს მონობაშიჰყავს „კავშირის სახით“ ხუთმეტი ერი და თითქმის ნახევარი ევროპა და ყოველი მათი ცდა, რათა მოსკოვის მონობისაგან განთავისუფდნენ. ხალხის მასიური ელეტი სრულდება. რიცხობრივად და ტერიტორიალურად რუსეთს უფრო მეტი ხალხი ჰყავს დაპყრობილი, ვიდრე თავ-თავის დროზე ჰყავდათ საბერძნეთს, რომს, ისპანიას, ინგლის, საფრანგეთს, ჰოლანდიას და სხ. იმ განსხვავებით, რომ ხსენებული იმპერიები ეკუთვნიან წარსულს, ხოლო ხრუშჩოვის იმპერია ამ ჟამად არებობს და დარჩენილ თავისუფალ კაცობრიობასაც შთანთქმით ემუქრება.

როდესაც ხრუშჩოვს ამ გარემოებაზე მიუთითეს და შეეკითხნენ, თუ რატომ არა ხსნის რკინის ფარდას. მან თავისებური უპასუხოს მგებლობით უპასუხა: „ყოველი კარგი მესაკუთრე (პატრონი) თავის ბაღს ღობეს ავლებს. რათა ღორები არ შეეიდნენ და არ გაფფუჭონ“. ჩვენთან ერთად მთელმა თავისუფელმა მსოფლიომ იცის, რომ ხრუშჩოვის „ბაღი“ უსაშინელესი საპყრობილეა და მის მიერ ღორებათ ნაგულისხმეები, ან თავისუფალი ქვეყნების თავისუფალი მოქალაქეებია, რომლებსაც ხრუშჩოვის „ბაღში“ შესვლით შეუძლიანთ თავისუფლების იდეის შეტანა, და ამას ერიდებ ბა ხრუშჩოვი, ან მის მიერ დამონებული ადამიანები, რომლებსაც ამ საპყრობილეიდან გამოსვლის უფლება არა აქვთ.

როდემდინ გაუძლებს ხრუშჩოვის „ბაღის“ ღობე და მისი კარები თავისუფლების სტიქიურ ტალღებს?

ჩვენ ღრმათა გვწამს, რომ მთელ მსოფლიოში გამარჯვებული ეროვნული თავისუფლების იდეას ვერ შეაჩერებს ხრუშჩოვის „ბაღის“ ღობე, ვერ შეაჩერებს მას ვერც მისი რკინის ფარდა და ფოლადის კარები და ეს იმ თავმომწონე თავისუფლების იდეა ხრუშჩოვის ბაღშიც შეიტანს სხივმფენ შუქებს. მაშინ თავისუფლების იდეის მესაფლავეს, დაპყრობილ ერთა მეკიხოვნე მოსკოვს მწარე მოგონებათ ღა დარჩება დღევანდელი თავისი ფარფაშა.

მრავლის ნახული ქართველი ერის მოთმენება ამ დროსაც გადასწვდება.

ვ. სანგულია.

გენერალ ჩხეიძის ხსოვნას.

ბოლშევიკების მსხვერპლის ზუსტი დატის აღდგენა ყოველთვის არა ხერხდება. ჩვეულებრივ ისენი უკვალოდ ქრებიან და მხოლოდ გვიან, კომენსატური ქვეყნებიდან და სიკვდილის ბანაკებიდან ძუნწად მიღებული ცნობები გვაძლევენ შესაძლებლობას აღვადგინოთ ხოლმე ბოლშევიკების მსხვერპლების ბედი და მათი დაღუპვის დაახლოებითი დატა.

ასეთ გარემოებაშია გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე, რომელსაც მოწამებრივი სიკვდილი ხვდა კიევის ციხეში: ჩვენს მიერ შემოწმებული ცნობების თანახმად, 1940 წელს.

განსვენებული გენერალი ეკუთვნოდა გამოჩენილ ქართველთა რიცხვს და მან საქართველოსთვის ბევრი გააკეთა, როგორც იქ, ჩვენ სამშობლოში, ისე მის შემდგომ ემიგრანტული წლების მანძილზე.

ის იყო განსაკუთრებული სიმტკიცის ადამიანი კრისტალური პატიოსნების და არასოდეს არაფითარი კომპრომისი არ დაუშვია არც თავისი სინდისის და არც თავისი მრწამსის წინაშე. ამასთან ერთად მისი დამახასიათებელი თვისება იყო განსაკუთრებული კეთილშობილება, სიკეთე და თავისი თანამემამულეების ღრმა სიყვარული.

ჩვენ უდიდეს შეცდომას დაუშვებთ, თუ მას ვიგულებთ განსაკუთრებულ და სრულქმნილ წარმომადგენლად მხოლოდ იმ ეპოქის, რომელშიც ის ცხოვრობდა. მასში გაერთიანებული იყო ძველი ტრადიციები და ქართული ბუნების საუკეთესო თვისებები იმ გვარად, რომ ის შეიძლება წარმოვიდგინოთ. როგორც დავით ის და ირაკლი, ისე დღევანდელი და ხვალინდელი საქართველოს მშვენებად.

გენერალმა ჩხეიძემ მთელი საქართველოს ყურადღება მიიპყრო 1920 წელს, მაისის პირველიდან ორის ღამეს, როდესაც მისმა გარდაწყვეტილებამ, მისმა გაბედულობამ და დინჯმა, მოფიქრებულმა მოქმედებამ ჩაშალა ბოლშევიკების განზრახვა რომ მათ ხელთ ეგდოთ ქართული სამხედრო სასწავლებელი.

იმ ღამის მან უდიდესი სამსახური გაუწია თავის სამშობლოს. კომუნისტების გეგმის თანახმად სამხედრო სკოლის დაკება, კომუნისტების საყოველთაო გამოსვლის ნიშანი უნდა ყოფილიყო, რომლის საშუალებითაც ცდილ ბდნენ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას საქართველოში. სამხედრო სკოლაზე თავდასხმის დამარცხებამ საბოლოოდ ჩაშალა კომუნისტების ბოროტი ზრახვები.

1920 წ. მაისის 1-ს გენერალი ჩხეიძე გადაიქცა განუსაზღვრელი ღირებულების სიმბოლოდ. მისი სახით ქართველმა ხალხმა დაანახვა მტერს, რომ ის არ მისცემს უფლებას შინაური გადატრიალებით ჩაიგდონ ძალა-უფლება და ამისათვის მათ დასჭირდებათ რუსული შტაკები და მოსკოვის ოკუპაცია.

1921 წ.. საბჭოთაა ომის დროს, გენერალი ჩხეიძე მეთაურობდა ტაბახმელის ბრძოლებს, სადაც მისმა მოწფეებმა ოქროს ასოებით აღბეჭდეს ქართულ ისტორიაში სამხედრო ასწავლებლის სახელი.

ომის საშუხარო შედეგმა აიძულა გენერალი, რომ მას, თავის მოწფეებთან ერთად სამშობლოთა დაეტოვებინა. მისთვის, და მათთვის დაიწყო ემიგრანტული მძიმე წლები.

მცირე ხნით კონსტანტინეპოლში ყოფნის შემდეგ, სხვა ქართველ ოფიცრებთან ერთად, გენერალი გაემგზავრა პოლონეთში, სადაც მა ღალი სტუმართ-მოყვარეობით და მეგობრული პატივით მიიღეს.

მან იქ დაასრულა უმაღლესი მეთაურების კურსი. სამხედრო სწავლების პოლონური ყაიდის გასაცნობად ის დროებით მიელინებულიყო გრუდენზეში; ცხენოსანი ჯარის წრთვნის ცენტრში, რის შემდეგაც ის დაინიშნა პოზნანის ფეხოსანი დივიზიის უფროსთან. ამ თანამდებობაზე დაჰყო მან უკანასკნელ წუთამდე, ვიდრე არ დადვიდა კერძო ცხოვრებაზე.

გენერალი ჩხეიძე განსაკუთრებული პატივცემით სარგებლობდა პოლონელებში და ეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ მან ბრწყინვალედ იცოდა სამხედრო საქმე, არამედ, და უფრო მეტად, თავისი პირადი ღირსებების ვამა. მის გარშემო მყოფი პოლონელები თავის წარმოდგენაში მისი მიხედვით ქმნიდნენ ქართველის ტიპს: აღსავსეს უმაღლესი ღირსებებით. ამით მან არა მცირედი ღვაწლი დასდო ქართულ საქმეს და საქართველოს.

ოროთა ვითარებაში ირღვეოან და ავიწყე ბენ დადებული ხელშეკრულებებს, მაგრამ წარუშლელი რჩება უცხოელის მეხსიერებაში იმ ქართველების მოქმედება, რომლებიც ემიგრანტობის მძიმე ცხოვრების პირობებში ისე აჩვენებენ თავს, როგორც ეს მოახერხა განსვენებულმა გენერალმა.

თავისი ცხოვრების ამ პერიოდში მან დიდი შრომა გასწია, რათა ყოფილ თავის მოწფეებისაგან შეექმნა პატრიოტული ორგანიზაცია „იუნკერთა კავშირი“, რომელთა შორის ის განსაკუთრებული ავტორიტეტეთ სარგებლობდა.

მრისხანე და ულმობელი იყო ბედი გენერალი ჩხეიძის მიმართ და მისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები მძიმე ტრაღედიათ აქცია.

ოჯახის მოყვარული, განსაკუთრებული სიმტკბილობით ცხოვრობდა თავის მეუღლესთან, ქალბატონ სოფიოსთან. გენერალ კვინტაძეს დასთან. მათ ჰყავდათ ორი შვილი (ტყუპები), საუკეთესო მომავლის თვისებებით აღჭურვილი ახალგაზრდა ოფიცრები.

უწყალო ბედმა თავის მსხვერპლად ჯერ ერთი მათგანი აირჩია და მცირე ხნის ავადმყოფობის შემდეგ დამწუხრებული მშობლების მკლავებზე გარდაიცვალა. მათ მთელი სიყვარული მეორე შვილზე გადაიტანეს, მაგრამ არც მას ეწერა ხანგრძლივი სიცოცხლე და რამოდენიმე ხანში ისიც გარდაიცვალა.

აღარაფინ დარჩად მოხუც ჩხეიძეებს. უფრო მეტად ჩაიკეტნენ თავის თავში და ერთი ერთ მიძღვნილობაში.

1939 წელს ბოლშევიკებთან ომმა მათ მოუსწრო ლვოვის მიდარმოებში, სადაც ისენი გადასახლდნენ შვილის სიცოცხლეში, მასთან ახლო ყოფნის სურვილით.

მოვლენები ისეთი სისწრაფიდ ვითარდებოდნენ და გარემოცვა ისეთი რთული და ბნელი იყო, რომ მათ ვერ მოასწრეს დროზე გამოსვლა და ჩარჩნენ იმ ზონაში, რომელიც რუსეთ გერმანიის შეთანხმებით საბჭოეთს ერგო.

ამის შემდეგ გენერალ ჩხეიძეზე და მის მეუღლეზე იშვიათი და შემთხვეევითი ცნობები არსებობს. ადვილი წარმოსადგენი კია თუ რა გაჭირვებას გადაიტანდნენ. საზოგადოთ მრისხანე და მძიმე იყო ბოლშევიკური ოკუპაცია მით უმეტეს აუტანელი იქნებოდა ქართველ მამულიშვილებისათვის. მიუხედავათ ამისა, ვი ცნობთ რა გენერლის უტეხ ნებისყოფას და ვა ჟკაცობას, ღრმა რწმენით შეიძლება ვთქვად რომ ის არ დაჰკარგავდა სულის სიმტკიცეს და თავს არ დახრიდა ჯალათის წინაშე.

უფრო გვიან, ოოდესაც ის მხარე გერმანელებმა დაიკავეს, მოგროვილი ცნობების თანახმად, ბოლშევიკებმა დაუყონებლივ აიყვანეს აღრიცხვაზე გენერალი ჩხეიძე და მისი მეუღლეე. შემდეგ მათ ეწვია ვიღაც კომისარი-ქართველი, რასაც თან მოჰყვა უკანასკნელი დარტყმა. ერთ ბნელ ღამეს, ამისთანა შემთხვევებისათვის სწორედ შესაფერს, გენერალს თავს დაესხნენ პოლიციკური პოლიციის აგენტები და წაიყვანეს. ამის შემდეგ არც მის მეუღლეს და არც სხვას აღარ უნახიად.

დიდი ხნის შემდეგ გავიგეთ, რომ დიდი ტანჯვისა და წამების შემდეგ გარდაიცვალა კიევის ციხეში.

თუმცა ცოტა განსხვავებული, მაგრამ არა ნკლებ ტრაღიკული იყო მისი მეუღლის ბედი. ის საზოგადოთ ძნელად იტანდა ქმართან განშორებას და ადვილი წარმოსადგენია ამ პირობებში განშორებულის განცდები...

ბოლშევიკებმა არც ის დატოვეს ხანგრძლივად. ადგილობრივ პოლონელებთან ერთად, ისიც გდაასახალეს ყაზახისტანში.

1942 წ. როდესაც გენერალ ანდერსმა მიიღო უფლება პოლონური ჯარი შეედგინა და გადავიდა ინგლისის განკარგულებაში, ჯართან ერთად საბჭოთა ტერიტორიის დატოვების

რუსულ-ჩინური ურთიერთობა

დიდი ხანია დასავლეთის პრესა ამტკიცებს რუს-ჩინელ კომუნისტების მოურიგებლობას და მრავალ საკითხებში მათ დაპირისპირებას. ეტყობა მათი შერიგების ცდებს ამაოდ ჩაუვლია, რადგან გასული ნოემბრის 23-ს „პრავდა“ იძულებული გამხდარა მკაცრად შეეტანა თავის უძლიერეს მოკავშირესათვის და მისთვის მოეგონებინა, რომ „კომუნისტური ერთობა მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური დოქტრინის ქვეშ შეიძლება“.

„პრავდა“-ს მეთაურიდან ვგებულობთ, რომ მოსკოვ-პეკინის დაპირდაპირების მთავარი სა განი ხრუშჩოვის „თანაარსებობის“ პრინციპი უნდა იყოს. რუს კომუნისტების აზრით „საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა იყო და დარჩა, თანახმად ლენინის პრინციპებისა, მშვიდობიანი თანაარსებობა სოციალურად განსხვავებულ სახელმწიფოებთან. ამ პრინციპიდან გამორიცხული არ არის კლასთა ბრძოლა დაეს არ შეიცავს სოციალიზმის კომპრომის კაპიტალიზმის მიმართ“.

ყველა ნიშნებია, რომ ხრუშჩოვმა სწორედ ამ უთანხმოების მოსასპობად შეკრიბა „მსოფლიო კომუნიზმის ლიდერები“ მოსკოვში და ამით უნდოდა თავის ოპოზიციის მოთოოკვა და დამორჩილება. „პრავდა“ თავის მეთაურში არ ჩევს „მარქს-ლენინური თვალსაზრისისთ“ ზა-

---

უფლება მიიღეს იმათაც, ვინც გადასახლებულნი იყვნენ ყაზახისტანში და სხეგანან. ამათ რიცხვში მოხვდა ქალბატონი სოფიო, გენერალი ჩხეიძეს მეუღლე.

მან არ მოისურვა „ბედის ახალი ძიება“ და თანახმად მისი თხოვნისა საბჭოთა ხელისუფლებამ უფლება მისცა წასულიყო საქართველოში, სადაც მას კიდევ ეგულებოდა ახლო ნათესავები. შესაძლებელია ამ გარდაწყვეტილების მიღების დროს ხელმძღვანელობდა მოჩვენებითი იმედით, რომ მისი მეუღლე შეიძლება ცოცხალია და იქნება მოახერხოს მისი მოძებნა და მასთან შეერთება.

ასე დასრულდა გენერალი ჩხეიძეს და მისი ღირსეული მეუღლის ტრაღედია.

სამარადისოთ შეეინახავთ მას ხსოვნაში, როგორც დიდ ქართველ პატრიოტს და მაღალ ადამიანური ღირსებების პიროვნებას. მისი და ღუპვის ოცი წლის თავზე ჩვენი ფიქრები მას დასტრიალებენ.

ჩვენი ფიქრები მისსწრაფვიან ქალბატონ სოფიოსკენაც, სანმიფში ქართველ დედის და ქართველ მეუღლისაკენ, რომელმაც თავის ცხოვრების მანძილზე იმდენი მწუხარება გადაიტანა, რომ ჩვენ მის წინაშე მხოლოდ მოწიწებით უნდა მოვიდრიკოდ მუხლი.

დ. ზალიკაშვილი.

აბრამ ლინკოლნი.

(გაგრძელება. იხ. „ქ. აზრი“-ს 40 ნომ.)

ახალი კანონის მოქმედების პირველი ასპარეზი კანზასი უნდა ყოფილიყო. ნებრასკა საქმრისად შორს მდებარეობდა სამხრეთით და ამით, შედარებით, უფრო დაცული იყო მონათმფლობელების ჩასახლებისაგან. როგორც კი მისი სახელები გაიხსნა ახალი ჩასახლებისათვის, მას დაუყონებლივ მიაწყდა თავისუფალ ფერმერების ტალღა. სენ. დუგლას ამ შემთხვევაში იმედები გაუმართდა და ნებრასკის საკითხი არავითარ გართულებას არ იწვევდა. სულ სხვა იყო კანზასის მდგომარეობა. ის შდებარეობს მისურის დასავლეთით და უშუალოდ იკრის მონათმფლობელობის ტერიტორიას. მაშ რაში იქნებოდა დუგლასის დათმობა თუ სამხრეთი დეუყონებლივ არ ისარგებლებდა რათა ჟეფართოვებინა მონათმფლობელობის ტერიტორია.

ამ გარემოებაში კანზასი უნდა გადაქცეულ იყო ბრძოლის ასპარეზად. რრდილოეთი ცდილობდა კანზასის ტერიტორიაზე ჩაესახლებინა თავისუფალი პიროვნებები რათა დაემარცხებინა სამხრეთელები, როდესაც მონობის საკითხი კინ3ის საყრელად დადგებოდა. შორეულო ახალ ინგლისში იქმნებოდა საზოგადოებები. რომლებიც ხელს უწყობდნენ კანზასში გადასახლებას და მსურველებს ხარჯებსაც უნ აზღაურებდნენ. თვით კანზასში კი ორივე ბანაკი დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს მოვლენებს და მზად იყვნენ ძალით, ან მოტყუებით ჩაეშალად არჩევნები. თუ კი ერთ-ერთი მთანაინისათვის სასურველ მიმდინარეობას არ მიიღებდა.

რადგანაც მისურელი მონათმფლობელები უფრო ახლო ცხოვრობდნენ, ამიტომ ისენი უფრო ორ ადრე გამოცხადდნენ და ამით კიდევ მოიგეს არჩევნები. მაგრამ არჩევნების შედეგები უარყო თავისუფალმა მოსახლეობამ და ჩრდილოეთის საზოგადოებრივმა აზრმა. ხოლო უფრო გვიან, როდესაც ჩრდილოეთის სიმდიდრემ და მათმა რიცხობრივმა უპირატესობამ საბოლოოდ ბოლოს ადგა ბოლოს ბოლოს ბოლოს

ვისა და ომის საკითხებს და აცხადებს: „ამ ჟამად მშვიდობიანობისათვის მიმდშავე ძალები გადაიქცნენ ისეთ ფაკტორად, რომ მათ შეუძლიანთ აიცდინონ კონფლიკტი და შემონახონ მშვიდობიანობა“-ო. იმავე გაზეთის აზრით, მოსკოვს უკვე აქვს თავისი უპირატესობა, რადგან მან უკვე დარაზმმა და მოასწრო შეიარაღება კომუნისტების, რომლებიც შეებრძოლებიან „რევოზიონისტებს, დოგმატისტებს და სეკტანტებს“. მოსკოვის განცხადებით გარეშეოებამ აიძულა ის, რომ დაიცვას „საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა ოპორტუნისტებისაგან, რომელიც დიდ საფრთხეს წარმოადგენს თანამედროვე ვითარებაში. დოგმატების და სეკტანტების წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელია, რათა პარტია ავაცდინოთ ხიფათს“-ო.

ეჭვი არ არის პეკინის დელეგაციის მიერ „მსოფლიო კომუნიზმის ლიდერების კონფერენციის“ ნაადრევათ დატოვება სწორედ ამის შედეგი უნდა იყოს. ამავე დროს, ეტყობა, თვით ჩინელი კომუნისტებიც ცდილობენ თავის მხრივ პოზიციების გამაგრებას. ცდილობენ ამ შინაგან ბრძოლაში განმარტოვებულნი არ დარჩნენ და მოკავშირეები შეიძინონ, რაც კომუნისტურ ინტერნაციონალში გაადილერებს მათ გავლენას და მოსკოვისგან დამოუკიდებლობასაც. პეკინის ანგარიშით მისი გავლენის სფერო აფრო-აზიური ქვეყნებია და ამტომ უპირველეს ყოვლისა. არაბული, და კერძოთ ალჟირი გადააქცია თავის მოქმედების პატარა და უმნიშვნელო ალბანია, რომელიც დღევანდლამდე უკონკურენტოდ მოსკოვის სკეთრებას წარმოადგენდა.

ახლო წარსულში ალბანეთს ესტუმრა ჩინეთის სამიედრო შტაბის უფროსის მოადგილე ჩანგ ტუნ-პუენი. მას ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ალბანეთის სახიდრო მინისტრთან, რასაც თან მოჰყვა ალბანიის პირველი მინისტრის მოადგილის ბეჭერ ბალუკინის პეკინში გამგზავრება. ფორო ვვიან, ალბანიისა და ჩინეთის ურთიერთ-ბა ალბანეთ-ჩინეთ-ალბანეთ-ალბანეთ-ალბან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანახი და ნააზრები.

გადაელახეთ მთა და ჩემს თანამგზავრებს უთხარი: „ახლა კი შეგვიძლია დავსხდეთ და პური ვჭამოთ“, გვქონდა სწორედ ყველი და პური.

მოვთავსდით კლდიდან მშრალ ადგილს; იდგა აპრილის დასაწყისი და მთას ედო თოვლი. ერთი ყმაწვილი მოხვდა საზღვარ გარეთ მთლად ბავშვი და მას საქართველო არ ახსოვდა, მეორე კი იყო ახლად ჩამოსული; მას უკვე ჰქონდა ეს უღელტეხილი გავლილი და იყო ჩვენი წამყვანი. მთას იტალიურად ეჩქვა „კოჩჩო“, ე. ი. ჯვარი. გადაღმა ავსტრიელები ი დამახინჯებულად ამბობდნენ „კოეკ-ბას“ ს იყო მეორე ჩემი ჯვრის ულელტეხილი, პირველი გავიარე საქართველოში.

წყალს, არაგვის მაგიერ ეჩქვა „ტალიამენტი“,—„გაჭრა“ და მის ორივე მხარეს, კარგ მანძილზე, ვთქვად ფასანაურის ზემოთ, რამო დენიმე სოფელში განაწილებული იყო 250 ქართველი ლტოლვილი. იყო ბევრი პოლონელი ქალიც—ქართველ ოფიცრების ცოლები. ქართველი კი იყო ქალიც და კაციც. ყველა ჩასაკისა. მე ვეშურებოდი სოფელ „ცელიო“-ში სდაც იმყოფებოდა ამ ლტოლვილთა ჯგუფის გამგეობა.

„ნამდვილი საქართველოა“, უთხარი ყმაწვილებს და ამ დროს მომესმა: „ბი-ჭო, ბი-ჭო ...“. შეკვრთა, ნუ თუ მეზმანება? ჩვენმა გზის მაჩვენებელმა აგვიხსნა: „ქართველი რაზმელები უდარაჯებენ საზღვარსაო“. ის ადგა ყვირილით: „აქ მო...“.

მოვიდა სამი ჯარისკაცი; გაუხარდათ, ქართველები ხართო და ბოლოს: წაგიყვანთო უფროსთანაო“. არ ვიცი თუ ასეთი იყო თავდარიგი და წავყეთ. ჩავედით პატარა საზლის ეზოში. ცეცხლის ირგვლივ ისხდნენ ჯარისკაცები, ისმოდა მათი ქართული. უფროსი დაგვხვდა კარგად. შეწუხდა—სანოვაგის საკითხი იყო გაჭირვებული, და სამაგიეროდ კარგი კონიაკი მაქვსო.

ეს ალპიურ-კავკასიური (ომი რას არ იზამს?) და ჩვენი შეხვედრა სწორედ უამბე ამ უფროსის დას, რომელიც, თურმე, ამ შტატში კარგა ხანია ცხოვრობს და ახლა ნიუ-იორკში ქა რთულ ოჯახში ვნახე. „ძმას მივწერო“ მითხრა ოლონდ მეთქი. კონიაკი კი, მერე გა ვიგე, როცა ჭინჭარსა ვჭამდი, ამ ადგილას და იმ ხანაში, უიშვიათესი რამ იყო.

ქართველების დღევანდელი დაქსაქსვის აღ სანიშნავად, ეფიქრობ, ისიც ითქმის: ეს უფრ ოსი დღეს ვერანაირაშია, გზის მაჩვენებელი—საფრანგეთში და მეორე ყმაწვილი, როგორელიც დღეს უკვე ყმაწვილი აღარ არის (დრო რას არ იზამს!) ისპანიიდან ჰონულულუში მოხვდა ხონის მაგიერ.

აქ კი, კარგს იზამს ადამიანი, და მეც ჩაეფი ქრდი იმაზედაც, რამდენად საჭიროა და მიზან შეწონილი ქართული გაზეთის არსებობა.

იმ ლტოლვილ ჯგუფიდან კი, რომელიც ხეში დაპირიმსპირებული მთებით და აზრით „მწ ვანე“ და „წითელი“ პარტიზანების შორის იმ ყოფებოდა, ზოგი მკედარიც და ცოცხალიც, ციმბირში, ინგლისში, არგენტინაში, ან და ვინ იცის სად?

ორკეიდად დამარცხებულ იტალიაში, სადაც ომის ქარიშხალმა წალეკა ხიდი, სახლი და პატიოსნობა, დადგა დრო „უშველე თავსა“-ო.

როცა საზოგადოებრივი სხეული დაირღვევა; სახელმწიფო, ერი, ოჯახი ანუ ჯარი, მას მოჰყვება შიმშილი, დაქუცმაცება და ზნეობრივი დაცემა.

რომელიც არ უნდა იყოს სახელი ერისა, ანუ ოჯახისა, თავისი შინაარსით, სურათი იგივეა. ეროვნული, გვარეული, ან რასიული განსხვავება მართალია ჩანს—ჯარბობს ბნელი უმეცრებებისა. ბარბაროსობის,—სანახავად საზარ ოა და საზიზღარი.

ამ დროს, ამ ხანას, ერი არ იზომება, არ იწონება. სუფეკეს მასიური წყვდიადი. ძარწვა გლეჯა, უნამუსობა.

ამ პირობებში ჩავარდნენ ქართველებიც იტალიაში. მათ არ დხვდა არც ქართული ხელმძღვანელობა, არც ვინმე ხელის აღმაყოფილი: „უშველე თავსაო“...

მტერი რომ დაამარცხებდა საქართველოს სახელმწიფოს, თითო მთის კარი დაიკეტებოდა, თითო ხევი, თითო კუთხე უშველიდა თავს და ქვეყანა განაწილდებოდა. მერე კი როცა ხალხი გონზე მოვიდოდა. საზოგადოებას და საზოგადოებრიობას, მის მნიშვნელობას და ძალას ფასი ემატებოდა და ისეე იწყებოდა გაერთიანება. მამასახლისი, ხევის ბერი, ერის-თავი, ერისთავთ ერისთავი, მეფე, მეფეთა-მეფე, რასაც ბოლოს რესპუბლიკის სახე მიეცა.

დაცემის დროს, „ნუგზარ ერისთავის დროს, სისხლის წვიმების დროს“, თითო კუთხის გადარჩენას, თითო წილის გონზე მოსვლას, და მაშასადამე გაძლიერებასაც, დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომაც მემატიანე კუთხის გამოძლიერსა „დიდსა“ უწოდებს. იქნებოდა იგი ლეკანი სამეგრელოსი, სოლომონი იმერეთისა, თუ ალეკსანდრე კახეთის.

ძალა-უფლება ცუდი რამ ყოფილა, როდესაც უზენაესის შეგნება შეაკლდება იგი ალრჩობს და აბრმავებს—და ამიტომ გაერთიანების ვითარებაში, რაც გუშინ კარგი და დასაშვები იყო, უკვე ბოროტებად იქცევა და მემატიანე გმობს იმას, რაც ძველად უქია და „დიდების“ წოდებას ახლა აძლევეს მხოლოდ დაკეთილ-სოლომონიანთა სიბერძნით აღვსილ ტახტსა.

საქართველოს ვითარებაში, როცა გეოგრაფიულად გაერთიანებულს, ეცხო ძალი შეგროვილ ხალხს გონზე მოსვლას არ აცლიდა და მას შიგნიდან არღვევდა, მაშინ აკაკი ნთელას ჩონგურს აამღერებდა და ილია „ნეტავ იმ ძუ ძუს“ იძახდა, როცა ბაზალეთს იგონებდა.

დღევანდელი საქართველოს ქართული ენის სახელმძღვანელოებში „მე პატარა ქართველი ვარ“-ოს ვარიანტს ახალი გარითმული სტრიქონიც დაემატა: „აჯარა, ოსეთი აბხაზეთიო“.

მთლიანობაზე მზრუნველნი, პატარა თუ დიდი მოღვაწენი, რომელთა სახელი ლეგიონია, როგორც იტყოდნენ ძველად, იქცეოდნენ და იქცევიან, როგორც თავის დროზე იქცეოდნენ საბანიძები, მერჩულები, მარუშიძები, ალმაშენებლები, რჯულისმდებლები.

პატარა იტალიურ წრეშიდაც, სადაც შიმშილში და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ქართველები „თავსა შველოდა““, „სისხლის წვიმების დროს“, ზერელი ანინჩრობის, და სი მუხთლეს დროს, ამ მძიმე და ბნელ გარემოში დაც იყენენ წერტილები შეგნების და საზოგადოებრივი მისწრაფების. იყენენ ისეთებიც რომ ძლებიც ამხანაგურად რაღაცას აწყობდნენ და საიდღანაც მწვანილეულობა მოჰქონდათ და გაჭირვებულებს აჭმევდნენ.

„ტალიანენტოს“ ხეობაში—სადაც პარტიზანების საშიშროების გრდა, მათი ერთმანეთში ქიშპობის, რომლის ერთი მიზეზთაგანი ეგენც ვიყავით—უკვე მზადდებოდა „უშველე თავსა“-ს ნიადაგი. იყო ჩურჩული და „შეთქმულება; ზოგი კი „გამოჩენილთა“ გაელეტასაც აპირებდა. ამ საშინელი ბოროტებით ეგონა გა მოიყიდის „თავის ცოდვებს“ და ამას ჩადიოდა გუშინდელი პატრიოტები, ანუ ახალი მოკავშირეების გულის მოსაგებად. ამ ხეობის პირო ბებში და შერე რომში, კაცებზე ნადირობის ხანას,—გამოცდილი, უშიშარი, შეგნებული, დინჯი და უდრეკელი იყო სერგო მათითაშვილი. შეიძლება ყველამ არ იცის, რადგან ის იყო თავმდაბალი, უჩინარი და ჩუმად მომქმედი. მაგრამ ყველას, ამ ხანაში გადარჩენილთ, მმართებთ სერგო მთითაშვილის ნათელი ხსოვნის მადლობა, პატივისცემა და მოგონება.

ისეთიც მოიპოვება ვინც მხოლოდ ცუდს ამ ჩნევს. ზომავს საზომით, რომელიც არ უდგება არც ხანას, არც პირობებს. ამ უსწორო წონით კი თავის დაყუდობას, გაწყდომას, უხსაოთობას, უიმედობას ან უნდობლობას ამართლებს.

ეს პირადი უკმაყოფილება, ავადმყოფი თავმოყვარეობა, გულგატეხილობა და ეჭვი, არ-

სიმართლე „ა.ბ. ნ. “-ის შესახებ.

„ა. ბ. ნ. “-ი პრესის და საინფორმაციო ბიუროს გამოცემა. მიუნხენი, 1960 წ.

ჩვენმა თანამემამულე ბ-ნ ნაკაშიძემ ინგლისურ ენაზე გამოაქვეყნა წიგნი.

დიდი მუყაითობით და ღრმა ანალიზით არ-ჩეკს შემდეგ საკითხებს:

1. რუსული ემიგრაცია და რუსული პოლიტიკური ორგანიზაციები უცხოეთში.
2. რა არის ა. ბ. ნ.-ი?
3. ა. ბ. ნ. -ის პრინციპების ისტორიული და ინტერნაციონალური სამართლის საფუძველები
5. რუსული ცარისტული იმპერია.
6. რუსული კომუნისტური იმპერია.
7. საბჭოთა კავშირის არა რუს ერთა პრობლემა.
8. ა. ბ. ნ. -ის მტრები და მათი საპროპაგანდო კომპანია.
9. დასკვნა.

ბ-ნი ნაკაშიძე ქართული საზოგადოებისათვის ახალი პიროვნება არ არის. მან სიყრმიდანვე შეიდგა მხრებზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის უღელი და მას არც ერთ მომენტში, არც ერთ გარემოებაში აღარ დაშორებია.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მან თავისი მოღვაწეობა გადაიტანა ჩვენ ბედში მყოფ. ე. ი. რუსეთის მიერ დაპყრობილ ერთა კავშირში და ამით დიდი ამაგი დასდო, როგორც საქართველოს, ისე რუსეთის მიერ სხვა დაპყრობილ ერებს.

ზემო აღნიშნული წიგნი გაბედული და გონივრულად შედგენილი პასუხია, რომელიც თანაბრად ეხება ყველას. ვინც ერთა თავისუფლების პრინციპამდე არ ამაღლებულა და სხვა და სხვა მოტივებით და მეთოდებით მას ებრძვის და აფერხებს.

ბ-ნი ნაკაშიძეს წიგნი არა მარტო ამხელს თავისუფლების მტრებს, არამედ ძლიერი არგუმენტებით და დოკუმენტებით ამტკიცებს, ზოგიერთი მათგანის საიდუმლო ერთობას კრემლთან და მის შოვინისტურ იმპერიალისტურ პოლიტიკასთან.

ეს არის უდიდესი დამსახურება რუსეთის მიერ დაპყრობილ ერთა წინაშე და ამიტომ სხვებთან ერთად ჩვენგანაც ეკუთვნის გულწრფელი მადლობა.

EDITORIAL BOARD: Dr. G. Gabliani, G. Lolua, G. Zaldastani, W. Ssangulia.
EDITOR IN CHIEF: D. Sindikeli.
PUBLISHER: Georgian National Alliance, 40 E. 65 St., N. Y. C.

ფიქრები ერის ბედზე.

(ბოლო).

ბერია და ყველა მისი მეგობრებიც ამ მორალზე, ამ ზნეობაზე იყვნენ აღზრდილნი. სტალინმა მილიონობით ელიტა, მარტო იმ მოჩვენებითი საფრთხის გამო, რომ ხვალ შეიძლება ერთ-ერთი მათგანს მისი კონკურენტი გამხდარიყო. ყოველ მათგანს ერთი და იგივე ბრალდება ჰქონდა: კომუნისტური პარტიის ორგანლობა და საბჭოთა წყობის დამხობის სურვილი. ამავე ბრალდებით გაუხვრეტეს კეფა ბერიას. არც მაშინ, როცა ბერია ხვრეტადდა სხვებს, არც მაშინ, როცა თვით ბერია შეიქმნა საკუთარი მეთოდის მსხვერპლი, არაფერი ჰქონდა საერთო კომუნიზმის ღალატთან და საბჭოთა წყობილების დამხობის სურვილთან. ბერია ისეთივე სისხლის მსმელი ჯალათი იყო, როგორც დღეს ხრუშჩოვი, მაგრამ ეგოისტურმა მიზეზებმა მათ ერთი-მეორე ამოახოცინა. ბერიამ შექმნა ის მტკიცე საფუძველები, რომელზედაც დღესაც დაშენებულია საბჭოთა კავშირი და მისი მემკვიდრეობით ხარობს და ღალობს ნიკიტა.

თანახმად კომუნისტური ზნისა, როგორც კი ერთს დაატუსაღებენ, მისი ხელქვეითნი, თუ „უერთგულესი მეგობრები“ დაუყონებლივ და გმობენ საფრთხეში ჩაყარდნილ „მეგობარს“. ამავე მდგომარეობაში იყვნენ ბერიას მეგობრები. კარგად გარკვეულნი თავიანთ პარტიულ იერარხიის ინტრიგებში დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ბერიას მოღალატეობა ჩვეულებრივი ფანდი იყო მის მოსასპობად მოგონილი. ამიტომ საკმარისი იქნებოდა მისი დაგმობა რა თა მათ თავინთი პოზიცია შეენარჩუნებინათ და განემტკიცებინათ. თუმცა პოზიცია სწორია, მაგრამ ანგარიში მაინც შემცდარი აღმოჩნდა. მათ ვერ გაითვალისწინეს, რომ ხრუშჩოვ მალენკოვ-ჟუკოვის შურისძიებას, გარდა კონკურენციისა, ჰქონდა რუსული შოვინისტური სარჩული. მათ ბერია ორმაგათ მოკლეს; როგორც სავარაუდო ძლიერი კონკურენტი და როგორც ქართველი. ამ უკანასკნელს ემსხვერპლნენ ბერიას მიერ დაწნეხაურებული ქართველი კომუნისტები. წინააღმდეგ შემთხვევაში ბერიას „მეგობრები“ არ დაიშურებდნენ მიცცალებული „მეგობრისათვის“ მაგრად დაერტყათ და ზედ ტალახი გადაესხათ. ასეთია კომუნიზმის ზნე, წესი და ადათი.

ამგვარად ნამდვილი კომუნისტი (ჩვენ მხედველობაში არა გვყავს კომუნისტური პარტიის წევრები, რომლებიც მრავალ ადგილათ ასახსნელი მიზეზებით უნდა ჩაწერილიყვნენ და ჩაეწერნენ პარტიაში) თავის ბუნებაში ატარებს არა მარტო სამშობლოს იდეის უარყოფას, არამედ მეგობრის დაუნდობლობას და მტრობასაც. ამიტომ ის ქართულ მამა-პაპეული ტრადიციების მატარებელი ვერ იქნება.

ქართველმა ერმა თავისი ტანჯული ისტორიის გრძელ მანძილზე თავისი ზნე და წესი მკაფიოდ გამოკვეთა და დღევანდლამდე უნაკლოდ მოიტანა. ამ ზნისა და წესის ერთი ძალი ერი მომენტია სამშობლოს სიყვარული და მეგობრის ერთგულება და ამიტომ.

„ვინცა მოკვდნენ მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას სრბიან“. აქ მეფე იმ ეპოქის ფსიქოლოგიური განცდის გამოა ნახსენები, როგორც ეროვნული დამოუკიდებლობის სიმბოლო. ცხადია, ამ თეორიაზე აღზრდილ ქართველებს „ჭირი უნნდათ არცა ჩირად“ და სწამდათ მეფეთათვის ე. ი. სმშობლოს უზენაესო ბისთვის მიძღვნილების სული „ზეცას სრბიან“

1956 წლის მარტში ტფილისის ქუჩებში და ღვრილმა უმანკო სისხლმა ერთხელ კიდევ დამტკიცა, რომ კომუნისტური კომისრების ზედამხედველობის ქვეშ აღზრდილი ქართველობა არ დაშორებია თავის ისტორიულ ტრადიციებს და მათში სმშობლოსადმი მიძღვნილობის გრძნობასთან ერთად, მეგობრისადმი ერთგულება და მიძღვნილობაც ძლიერია.

ჯერ კიდევ ნაადრეცა ამ საკითხის ცალკეულ ეპიზოდებზე შეჩერება. ჩვენამდე მოღწეული ცნობები კი ამტკიცებენ, რომ იქ ძლიერათ გამომეღავნდა მეგობრობა და მეგობრისადმი მიძღვნილობა. მარტის გმირებმა ტფილისში დამატკიცეს, რომ დღევანდელი ქართველოც მტკიცედ ატარებს ჩვენს ისტორიულ ტრადიციებს და „ჰხამს მოყვასი მოყვასისთვის თავი ჭირსა არ დამრიდათ“, არ არის მხოლოდ ცარიელი ფრაზა, არამედ ღრმა შინაარსიანი დებულება, რომელმაც იცხოვრა, შეინახა და დღევანდლამდე მოიყვანა ჩვენი ქვეყანა და ურომლისოდ იგი სასვენ სვეტ გამოცლილივით სიცარიელეში ჩაიკეცებოდა.

ი. მენთეშაშვილი.

მეგობრობა და მიძღვნილობა.

(დასაწყისი იხ. მესამე გვერდზე).

ბერია და ყველა მისი მეგობრებიც ამ მორალზე, ამ ზნეობაზე იყვნენ აღზრდილნი. სტალინმა მილიონობით ელიტა, მარტო იმ მოჩვენებითი საფრთხის გამო, რომ ხვალ შეიძლება ერთ-ერთი მათგანნი მისი კონკურენტი გამხდარიყო. ყოველ მათგანს ერთი და იგივე ბრალდება ჰქონდა: კომუნისტური პარტიის ორგანლობა და საბჭოთა წყობის დამხობის სურვილი. ამავე ბრალდებით გაუხვრეტეს კეფა ბერიას. არც მაშინ, როცა ბერია ხვრეტადდა სხვებს, არც მაშინ, როცა თვით ბერია შეიქმნა საკუთარი მეთოდის მსხვერპლი, არაფერი ჰქონდა საერთო კომუნიზმის ღალატთან და საბჭოთა წყობილების დამხობის სურვილთან. ბერია ისეთივე სისხლის მსმელი ჯალათი იყო, როგორც დღეს ხრუშჩოვი, მაგრამ ეგოისტურმა მიზეზებმა მათ ერთი-მეორე ამოახოცინა. ბერიამ შექმნა ის მტკიცე საფუძველები, რომელზედაც დღესაც დაშენებულია საბჭოთა კავშირი და მისი მემკვიდრეობით ხარობს და ღალობს ნიკიტა.

თანახმად კომუნისტური ზნისა, როგორც კი ერთს დაატუსაღებენ, მისი ხელქვეითნი, თუ „უერთგულესი მეგობრები“ დაუყონებლივ და გმობენ საფრთხეში ჩაყარდნილ „მეგობარს“. ამავე მდგომარეობაში იყვნენ ბერიას მეგობრები. კარგად გარკვეულნი თავიანთ პარტიულ იერარხიის ინტრიგებში დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ბერიას მოღალატეობა ჩვეულებრივი ფანდი იყო მის მოსასპობად მოგონილი. ამიტომ საკმარისი იქნებოდა მისი დაგმობა რა თა მათ თავინთი პოზიცია შეენარჩუნებინათ და განემტკიცებინათ. თუმცა პოზიცია სწორია, მაგრამ ანგარიში მაინც შემცდარი აღმოჩნდა. მათ ვერ გაითვალისწინეს, რომ ხრუშჩოვ მალენკოვ-ჟუკოვის შურისძიებას, გარდა კონკურენციისა, ჰქონდა რუსული შოვინისტური სარჩული. მათ ბერია ორმაგათ მოკლეს; როგორც სავარაუდო ძლიერი კონკურენტი და როგორც ქართველი. ამ უკანასკნელს ემსხვერპლნენ ბერიას მიერ დაწნეხაურებული ქართველი კომუნისტები. წინააღმდეგ შემთხვევაში ბერიას „მეგობრები“ არ დაიშურებდნენ მიცცალებული „მეგობრისათვის“ მაგრად დაერტყათ და ზედ ტალახი გადაესხათ. ასეთია კომუნიზმის ზნე, წესი და ადათი.

ამგვარად ნამდვილი კომუნისტი (ჩვენ მხედველობაში არა გვყავს კომუნისტური პარტიის წევრები, რომლებიც მრავალ ადგილათ ასახსნელი მიზეზებით უნდა ჩაწერილიყვნენ და ჩაეწერნენ პარტიაში) თავის ბუნებაში ატარებს არა მარტო სამშობლოს იდეის უარყოფას, არამედ მეგობრის დაუნდობლობას და მტრობასაც. ამიტომ ის ქართულ მამა-პაპეული ტრადიციების მატარებელი ვერ იქნება.

ქართველმა ერმა თავისი ტანჯული ისტორიის გრძელ მანძილზე თავისი ზნე და წესი მკაფიოდ გამოკვეთა და დღევანდლამდე უნაკლოდ მოიტანა. ამ ზნისა და წესის ერთი ძალი ერი მომენტია სამშობლოს სიყვარული და მეგობრის ერთგულება და ამიტომ.

„ვინცა მოკვდნენ მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას სრბიან“. აქ მეფე იმ ეპოქის ფსიქოლოგიური განცდის გამოა ნახსენები, როგორც ეროვნული დამოუკიდებლობის სიმბოლო. ცხადია, ამ თეორიაზე აღზრდილ ქართველებს „ჭირი უნნდათ არცა ჩირად“ და სწამდათ მეფეთათვის ე. ი. სმშობლოს უზენაესო ბისთვის მიძღვნილების სული „ზეცას სრბიან“

1956 წლის მარტში ტფილისის ქუჩებში და ღვრილმა უმანკო სისხლმა ერთხელ კიდევ დამტკიცა, რომ კომუნისტური კომისრების ზედამხედველობის ქვეშ აღზრდილი ქართველობა არ დაშორებია თავის ისტორიულ ტრადიციებს და მათში სმშობლოსადმი მიძღვნილობის გრძნობასთან ერთად, მეგობრისადმი ერთგულება და მიძღვნილობაც ძლიერია.

ჯერ კიდევ ნაადრეცა ამ საკითხის ცალკეულ ეპიზოდებზე შეჩერება. ჩვენამდე მოღწეული ცნობები კი ამტკიცებენ, რომ იქ ძლიერათ გამომეღავნდა მეგობრობა და მეგობრისადმი მიძღვნილობა. მარტის გმირებმა ტფილისში დამატკიცეს, რომ დღევანდელი ქართველოც მტკიცედ ატარებს ჩვენს ისტორიულ ტრადიციებს და „ჰხამს მოყვასი მოყვასისთვის თავი ჭირსა არ დამრიდათ“, არ არის მხოლოდ ცარიელი ფრაზა, არამედ ღრმა შინაარსიანი დებულება, რომელმაც იცხოვრა, შეინახა და დღევანდლამდე მოიყვანა ჩვენი ქვეყანა და ურომლისოდ იგი სასვენ სვეტ გამოცლილივით სიცარიელეში ჩაიკეცებოდა.

ი. მენთეშაშვილი.

კირილე გურგენიძე. (1879-1960).

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ოკტომბრის 8-ს, ნიუ-იორკში, გარდაიცვალა კირილე გურგენიძე. განსვენებული იყო ერთი უძველეს წევრთაგანი ქართველთა იმიგრაციის ამ ქვეყანაში. შერთებულ შტატებში ის ჩამოვიდა 37 წლის წინედ. 1931 წელს ის გახდა ერთი ენერგიული დამფუძნებელთაგანი ქართული სათვისტომოს „შერთებულ შტატებში. ის მაშინვე იქმნა არჩეული სათვისტომოს გამგეობის წევრად და აღსრულებდა ხაზინადარის მოვალეობას ოცი წლის განმავლობაში.

ცნობილი თავისი პატიოსნობით და მამული შვილობით, მიცვალებულმა დაამსახურა ქართული საზოგადოების დიდი პატივისცემა. ავადმყოფობამ აიძულა კირილე ხაზინადრის მოვალეობა სხვისთვის დეეთმო, მაგრამ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მისი მზრუნველობა სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე არ შეწყვეტილა.

განსვენებული განათლებით ფარმაცევტ-ქიმიკოსი იყო და ერთი მთავარი მომქმედთაგანი ვირგი მაჩაბელის სურნელოვან წყლების ქარხანისა.

ოკტომბრის 10-ს გადახდილ იქმნა პანაშვიდი, რომელსაც მრავალად დაესწრნენ მადლიერი მეგობრები. კუბო შემკული იყო გვირგვინებით და თაიგულებით. მეორე დღეს მოხდა დაკრძალვა. წესის აგების დროს სათვისტომოს ყოფილმა ოავმჯდომარემ, ინჟინერმა ვანო კობახიძემ წარმოსთქვა „მამაო ჩვენო“

საუკუნო იყოს ხსენება შენი ძვირფასო მეგობარო კირილე.

ლეო დუმბაძე.

„ქართული აზრის რედაქცია ღრმა მწუხარებით აუწყებს ქართულ საზოგადოებას, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ მარიდში (ისპანია) გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მამულიშვილი, ქართული ჯარის ყოფილი პოლკოვნიკი

ფრიდონ წულუკიძე

მწუხარებასა და თანაგრძნობას უცხადებთ მის შვილებს, ნათესავებს და მეგობრებს.

„ქართული აზრის რედაქცია ღრმა მწუხარებით აუწყებს ქართულ საზოგადოებას, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ მარიდში (ისპანია) გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მამულიშვილი, ქართული ჯარის ყოფილი პოლკოვნიკი

ფრიდონ წულუკიძე

მწუხარებასა და თანაგრძნობას უცხადებთ მის შვილებს, ნათესავებს და მეგობრებს.